თბილისი, ცხინვალი, მოსკოვი - ორი ათწლეული აგვისტოს ომამდე

ავტორი: ოთარ კობახიძე

2019

ნაშრომი შეიქმნა პროეტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს. ნაშრომის შინაარსი შეიძლება ყოვლთვის არ გამოხატავდეს ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებებს.

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 4

თეორიული და კონცეპტუალური წანამძღვრები 5

1988-1991 წლები - ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გაღვივება საბჭოეთის ბოლო წლებში 7

- *დადგენილებათა ომები 7*
- *თბილისში ნაციონალისტები იმარჯვებენ: დადგენილებათა ომი გრძელდება 8*
- *ომისკენ მიმავალი დისკურსები და ქმედებები თბილისსა და ცხინვალში 9*

1991-1992 წლები - შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდი 11

1992-1999 წლები - კონფლიქტის მოწესრიგების მცდელობების ეტაპი 14

- *სტატუსის განსაზღვრისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის მცდელობები 14*

2001-2003 კოკოითი-პუტინი-შევარდნაძის პერიოდი 16

- *ცხინვალისა და მოსკოვის პოლიტიკის ცვლილება 16*

2003-2008 - გზად ომისკენ: პუტინი-კოკოითი-სააკაშვილის პერიოდი 17

- *ცხინვალში აჭარული სცენარის განვითარების თბილისური იმედები 18*
- *2004 წლის ივლისი-აგვისტოს ესკალაცია 19*
- *კონფლიქტის მოგვარების ქართული გეგმები და შეთავაზებები 19*
- *რუსეთის ჩართულობა და ნაბიჯები 20*
- *შიდაოსური დაპირისპირების ქართული სცენარი 21*
- *სამშვიდობო პროცესის ხელახალი გაუარესება - გზა ომამდე 22*

დასკვნის მაგიერ 23

გამოყენებული ლიტერატურა: 26

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მიმოიხილოს 1989-2008 წლებში ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის ტრანსფორმაცია, რომელსაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი მოჰყვა. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში აღმოცენებული დაპირისპირება, რომელიც ლინგვისტური საკითხით დაიწყო, მალევე მნიშვნელოვნად გასცდა ენობრივ პრობლემას და 2008 წლამდე არაერთხელ გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში. ნაშრომში ასევე წარმოადგენს ამ ოცწლიანი მრავალჯერ ტრანსფორმირებული ეპოქის პერიოდიზაციის მცდელობაც. 1988-1991 წლები ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გაღრმავების წლები იყო, რომელსაც მოჰყვა წელიწადნახევრიანი შეიარაღებული დაპირისპირება რეგიონში. 1992-1999 წლებში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისაკენ გადადგმული ნაბიჯები რუსეთში პუტინის, ხოლო დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთში კოკოითის გამარჯვებამ დაარღვია. 2003 წლიდან 2008 წლამდე პერიოდი კი ომისათვის ხელახალი მზადების პერიოდია. თანამედროვე თეორიული მიდგომების დარად, რომელთა თანახმადაც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების საფუძველში ეთნოსებს შორის თავისთავადი, ფუნდამენტური შეუთავსებლობა კი არ დევს, არამედ ძალაუფლებისათვის, სტატუსებისა და გავლენებისათვის ბრძოლები, წინამდებარე ნაშრომიც ცდილობს ეძიოს პასუხები რატომ შეიცვალა ოსებსა და ქართველებს შორის ათწლეულების განმავლობაში მშვიდი ეთნოსთაშორისო ურთიერთობა; ვინ ამწვავებდა მომავალ კონფლიქტს და მიჰყავდა იგი შეიარაღებულ დაპირისპირებამდე; როგორ იქცა სეპარატისტული ჯგუფის „ადემონ ნიხასის“ დღის წესრიგი ეთნოსის „კოლექტიურ ქმედებად“ და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო; ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი; რუსეთი; აგვისტოს ომი; ქართულ-ოსური კონფლიქტი;*

„ომი არც პირველი გასროლით იწყება და
არც უკანასკნელით მთავრდება.“[1]

შესავალი

2018 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ხუთდღიანი ომის ათი წლისთავი აღინიშნა. ომთან დაკავშირებული ძირითადი ქართული ნარატივი, რომელიც სამართლიანად წარმოაჩენს ომში რუსეთს აგრესორად და ოკუპანტად, ხშირად ზედაპირულია და ნაკლებად ინტერესდება მანამდე, ომამდე ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის მიმდინარეობის, მისი გარდასახვისა და სიღრმეების შესწავლით. ამასთან, ამდენადმე მწირია რეგიონში მიმდინარე კონფლიქტზე შექმნილი შრომები და ისინიც კი, რომლებიც მოგვეპოვება, ხშირად კონფლიქტის ერთი ვიწრო კონკრეტული ასპექტის შესწავლას ისახავს მიზნად, რაც არ იძლევა ფართო სურათის დანახვის შესაძლებლობას.

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი მრავალწახნაგოვანი და კომპლექსურია და იგი მნიშნელოვნად განსხვავდება არათუ ე.წ. პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა კონფლიქტებისაგან, არამედ აფხაზეთის რეგიონისაგანაც. მის გააზრებას სჭირდება არაერთი ფაქტორის - მათ შორის, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, გეოპოლიტიკური განზომილებების - გათვალისწინება. საჭიროა ხელახალი მსჯელობა და გააზრება იმისა, როგორ დაიწყო კონფლიქტი მაშნდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რა წვლილი შეიტანეს მასში ოსეთის სეპარატისტებმა, საქართველოს კომუნისტურმა თუ შემდეგ უკვე ნაციონალისტურმა ხელისუფლებამ თუ მისმა ძალადობრივად დამამხობელმა გამგრძელებლებმა, საბჭოთა თუ რუსეთის ხელმძღვანელებმა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის“ (ISNC) პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ მიერ შეგროვებულ საარქივო მასალებზე, დოკუმენტებზე, საგაზეთო პუბლიკაციებსა და თუ სხვა მასალებზე დაყრდნობით მიმოიხილოს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ის 20 წლიანი მონაკვეთი, რომელიც წინ უძღოდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს. გამოჰყოს კონფლიქტის ძირითადი ეტაპები ე.წ. 1980-იანი წლების ბოლოს აღმოცენებული ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან ვიდრე აგვისტოს ომამდე - წარმოაჩინოს თუ როგორ ვითარდებოდა და ტრანსფორმირდებოდა კონფლიქტი მისი აღმოცენებიდან ვიდრე 2008 წლის აგვისტოს დასაწყისამდე, როდესაც ცხინვალში რუსულ-ქართული ომი დაიწყო.

---

[1] ქ. ბუდაპეშტში, ფოტოჟურნალისტ რობერტ კაპას მუზეუმში ამოკითხული ფრაზა (ინგლ. „a war never starts with the first shot, and it does not end with the last one“).

თეორიული და კონცეპტუალური წანამძღვრები

კონფლიქტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მთელი სიცხადით 1980-იანი წლების ბოლოს ჩნდება, თუმცა საქმეში ჩახედულთათვის ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტთა აღმოცენება ბოლომდე მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ეროვნული საკითხი საბჭოთა ოკუპირებულ საქართველოში, მათ შორის, მის ეთნიკურ უმცირესობებშიც, შეიძლება ითქვას, მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მეტნაკლებად მაინც იყო აქტუალური, რასაც მოწმობს 1956 წლის მოვლენები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, აფხაზური პეტიციები (1937, 1947, 1957, 1967 წლებში) და სხვა. 1978 წლის 14 აპრილს თბილისში ქართული ენის ოფიციალური სტატუსის დასაცავად გამართული მიტინგის მოთხოვნის წარმატება საქართველოს სსრ-ის ეთნიკური უმცირესობების ნაწილმა ქართული ნაციონალიზმის გამარჯვებად აღიქვა.

ეჭვგარეშეა, რომ საბჭოთა სივრცეში ეთნიკური და პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირებათა გაჩენა თავად საბჭოთა ინსტიტუციონალურ მოწყობაშიც რომ უნდა ვეძიოთ. ნაციონალიზმის მკვლევარი როჯერს ბრუბეკერი შენიშნავს, რომ მართალია, საბჭოთა სისტემა ებრძოდა ნაციონალიზმს, თუმცა პარადოქსულად, სწორედ საბჭოთა სისტემამ მოახერხა ნაციონალიზმის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალიზაცია. საბჭოთა კავშირში, მისი აზრით, მოხდა ერის ტერიტორიის ინსტიტუციონალიზაცია და ამასთან, ეროვნება გადაიქცა ფუნდამენტურ სოციალურ კატეგორიად. 1980-იანებში, როდესაც გორბაჩოვმა „გლასნოსტი“ (საჯაროობის) პოლიტიკა და გარდაქმნა წამოიწყო, ეთნიკური/ეროვნული განსხვავებები მზად იყო პოლიტიზაციისათვის.[2]

ვან ევერას მიხედვით, ნაციონალიზმმა რომ კონფლიქტი წარმოშვას, სამი სახის ფაქტორთა კომბინაცია უნდა მოქმედებდეს, ნაწილობრივ მაინც. ესენია სტრუქტურული, პოლიტიკური/გარემო და აღქმაზე დაფუძნებული ფაქტორები. სტრუქტურული ფაქტორები გეოგრაფიულ-დემოგრაფიულ მოწყობას გულისხმობს, რაც გულისხმობს მაგალითად ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობების შერევის ხარისხსაც. პოლიტიკურ-გარემო ფაქტორებში ვან ევერა მოიაზრებს ეთნიკური ჯგუფების მიერ ერთმანეთისადმი წარსულში გამოვლენილ ქცევა-მოქმედებებს. აღქმით ფაქტორებში კი ნაგულისხმევია, თუ როგორ აღიქვამენ სხვადასხვა ერები/ეთნიკური ჯგუფები ერთიმეორის ისტორიას, საკუთარ ისტორიას და როგორ აღიქვამენ ისინი მიმდინარე მოვლენებს.[3]

ვან ევერას არგუმენტით, ერთმანეთთან შერეული განსხვავებული ეთნიკური მოსახლეობების არსებობა კონფლიქტის საფრთხეს ზრდის. მისი თქმით, ამ პროცესში მნიშვნელოვანია შერევის მასშტაბისა და ნიმუშის გათვალისწინება. თუკი ეთნიკურად

---

[2] (Brubaker, Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe 1996)
[3] (Evera 1994)

განსხვავებული ჯგუფები შერეულია არაუბრალოდ რეგიონების, არამედ კიდევ უფრო მცირე ერთეულების შემთხვევაშიც, მაშინ განსხვავების მართვა უფრო რთულდება, რადგანაც იგი ელიტებისაგან დამოუკიდებლად თუ მათი ხელშეწყობით კონფლიქტის გაღვივების კარგ საბაბს იძლევა. მსგავსი განსახლება გვხვდებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც, სადაც ქართველები და ოსები გვერდიგვერდ სოფლებში ცხოვრობდნენ, ასევე ხშირად შერეული იყო თავად სოფლებიცა და ქალაქებიც/დაბებიც და მეტიც, ოჯახებიც კი.

თუმცა ზუსტი სტატისტიკა უცნობია, ცნობილია, რომ ქართული და ოსური შერეული ქორწინებები ხშირი იყო. ამასთან, ოსები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში[4] და ჩვეულებრივ, კარგად ფლობდნენ ქართულ ენას. საბჭოთა 1989 წლის აღწერით, საქართველოს 5,4 მილიონი მოსახლედან სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 98 ათასი ადამიანი მკვიდრობდა. ამასთან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 164 ათასი ოსი სახლობდა. აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონში ბევრად ნაკლები ოსი ცხოვრობდა, ვიდრე - დანარჩენ საქართველოში.

ქართულ-ოსური კონფლიქტი, როგორც მას ხშირად მოიხსენებენ, ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტად უნდა განვიხილოთ. *ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი* მოიაზრებს ისეთ პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომელშიც მხარეები მხარდაჭერის მობილიზებას ჯგუფური იდენტობის ხაზგასმით, სახელმწიფოს ან სხვა ჯგუფებთან მიმართებაში ჯგუფის სტატუსის, როლის, პოზიციების გაუმჯობესებას მოიაზრებს.[5]

მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ ეთნიკურობა პრიმორდიალური სოციალური ერთობა არაა, რომ ხშირად ეთნიკური თუ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის მიღმა სინამდვილეში ელიტები, ძალაუფლების თუ სტატუსის მოპოვების სურვილები დგას. როჯერს ბრუბეკერივე აღნიშნავდა, რომ „[ეთნიკურ კონფლიქტში] იდენტობა „კოლექტიური ქმედების ცვალებადი პროდუქტია“ და არა არა მისი გამომწვევი სტაბილური მიზეზი“.[6] რატომ შეიცვალა ოსებსა და ქართველებს შორის ათწლეულების განმავლობაში მშვიდი ეთნოსთაშორისო ურთიერთობა? ვინ ამწვავებდა მომავალ კონფლიქტს? როგორ იქცა ერთი ნაკლებპოპულარული სეპარატისტული ჯგუფის დღის წესრიგი ეთნოსის „კოლექტიურ ქმედებად“? წინამდებარე ნაშრომი „დროით წრფივზე“ დაყრდნობით ამ კითხვებზე პასუხების გაცემასა თუ მკითხველის დაფიქრებას შეეცდება.

---

[4] (Sordia 2009)
[5] (Gurr 2017)
[6] (Gurr, 2017), (Brubaker, Rethinking nationalism: National as institutionalized form, practical category, contingent event 1994)

1988-1991 წლები - ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გაღვივება საბჭოეთის ბოლო წლებში

1987 წლის ნოემბრიდან საბჭოთა ლიდერის, მიხეილ გორბაჩოვის წამოწყებულმა გარდაქმნის („პერესტროიკი“ს) პროცესმა ბიძგი მისცა სსრკ-ში ნაციონალისტური მოძრაობების გააქტიურებას, მათ შორის, საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ უმცირესობებშიც. ამ მხრივ გამორჩეული იყო საქართველოს სსრ-ც, სადაც ქართული ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების პარალელურად ასპარეზზე გამოდივიდნენ სეპარატისტული ორგანიზაციებიც, მათ შორის, „ადემონ ნიხასიც“[7] მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ენის საკითხს თავისი აქტუალობა 80-იანი წლების დროსაც არ დაუკარგავს. ცხინვალის რეგიონში, მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის სათავეებთან ოფიციალურად სწორედ ლინგვისტური პრობლემა იდგა, რომელიც 1988 წლის ბოლო / 1989 წლის დასაწყისიდან აქტიურდება. 1989 წლის დასაწყისში თბილისის პრესაში გაჩნდა წერილები ცხინვალში ქართული ენის შეზღუდვებზე,[8] თუმცა ოსურმა საკითხმა განსაკუთრებული ყურადღება „ადემონ ნიხასის“ ლიდერის ალან ჩოჩიევის აფხაზებისადმი 1989 წ. აპრილში გაგზავნილმა წერილმა მიიპყრო.წერილში ჩოჩიევი მხარს უჭერდა აფხაზთა საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნებს. საქართველოს კომპარტიის გუდაუთის გაზეთ „ბზიფში“ გამოქვეყნებული წერილი „ლიტერატურულმა საქართველომ“ 5 მაისს ქართულად თარგმნა. 6 მაისს სამხრეთ ოსეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა საოლქო საბჭო ალან ჩოჩიევის წერილის წინააღმდეგ გამოვიდა და მას ბრალი დასდო ეროვნებათშორისო ურთიერთობების ხელოვნური გამწვავებაში, თუმცა ცოტა ხანში თავად ცხინვალის ოფიციალური ორგანოები ერთვებიან თბილისთან დაპირისპირებაში.

- ### დადგენილებათა ომები

1989 წლის ზაფხულიდან ცხინვალსა და თბილისში ურთიერთსაწინააღმდეგო ნაციონალისტურ ნაბიჯთა გადადგმა არაუბრალოდ ქუჩის მოძრაობებმა, არამედ უკვე საბჭოთა/კომუნისტური ხელისუფლების ინსტიტუტებმა დაიწყეს. აგვისტოში საქართველოს

---

[7] “სამხრეთ ოსეთის პოპულარული ფრონტი “

[8] 1989 წლის თებერვლის „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდებზე ინჟინერი ნოდარ ნებიერიძე იუწყებოდა, რომ „1988 წლის ნოემბერში ქალაქ ცხინვალში ... გორის მოძრავ-მექანიზებულ კოლონას, რომელიც სხვადასხვა სამონტაჟო სამუშაოებს ატარებდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ ცხინვალის N3503 შემნახველმა ბანკმა უარი უთხრა ხელფასების გაცემაზე“ იმ მიზეზით, დოკუმენტები შედგენილი იყო „თანამშრომლებისთვის გაუგებარ” ქართულ ენაზე.

კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაზე, რომლითაც ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი უნდა უზრუნველყოფილიყო საქართველოს სსრ-ის ყველა სახის დაწესებულებებში.

საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელთა ამ დადგენილებას დაძაბულობა მოჰყვა ცხინვალსა და სოხუმში. „ადემონ ნიხასმა“ პირველი მიტინგი ავტონომიურ ოლქში სწორედ ამ საბაბით გამართა. თბილისის ნაბიჯს მოჰყვა დადგინელებათა და კანონთა „ომი“ ცხინვალსა და თბილისს შორის.

1989 წ. 4 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა მიიღო ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დადგენილება, ხოლო 26 სექტემბერს ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სთხოვა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა პუნქტი: "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა".

სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა 1990 წლის ზაფხულში, მას შემდეგ რაც თბილისმა რეგიონული პარტიების მონაწილეობა აკრძალა მომავალ არჩევნებში. ცხინვალში ეს ნაბიჯი „ადემონ ნიხასის“ საწინააღმდეგო ზომად მიიჩნიეს, რასაც 20 სექტემბერს ცხინვალში სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს გადაწყვეტილება მოჰყვა ავტონომიური ოლქის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნაზე. საბჭომ ასევე მიიღო დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ.

ამ ნაბიჯს მყისიერი რეაქცია მოჰყვა თბილისში - საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნული დადგენილება გააუქმა და იგი საქართველოს სსრ და სსრკ კონსტიტუციების დარღვევად შეაფასა. საპასუხო დადგენილებაში „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ სახალხო დეპუტატთა საბჭო თბილისს არ დაემორჩილა. მეტიც, ცხინვალში იმსჯელეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებზეც და დაადგინეს, არაუფლებამოსილად ეცნოთ საარჩევნო უბნებისა და ოლქების ფუნქციონირება ცხინვალის რეგიონში. ამასთან, სესიაზე ცხინვალმა მიიღო დროებითი დებულება „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებზე, რომელიც 2 დეკემბერს უნდა გამართულიყო.

- ## თბილისში ნაციონალისტები იმარჯვებენ: დადგენილებათა ომი გრძელდება

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, სადაც 70 წლის შემდეგ პირველად აიღო ძალაუფლება არა-კომუნისტურმა პარტიამ. არჩევნებს

ცხინვალის რეგიონის ეთნიკურად ოსთა დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა. ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გადაწყვეტილებები, მათ შორის, 2 დეკემბრის არჩევნების ჩატარებაზეც, რომელიც ცხინვალში თბილისის წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც ჩატარდა.

რამდენიმე დღეში, „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად“ თვითგაგამოცხადებულმა ოლქმა სსრკ უზენაეს საბჭოს მიმართა რესპუბლიკად ეცნო იგი. ამის საპასუხოდ, 1990 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ოლქის ავტონომია გააუქმა,[9] მეორე დღეს კი ცხინვალისა და ჯავის ტერიტორიაზე საგანგებო წესები გამოაცხადა. 13 დეკემბერს, თბილისის საპასუხოდ, „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობამ სსრ კავშირის კოსტიტუცია აამოქმედა და განაცხადა, რომ თბილისის ქმედება კონსტიტუციის 73-ე მუხლს არღვევდა.

- ## ომისკენ მიმავალი დისკურსები და ქმედებები თბილისსა და ცხინვალში

ომისაკენ გზა მხოლოდ დადგენილებებზე არ გადიოდა. თბილისსა და ცხინვალში გაჩაღებულ პოლემიკას, წარსულის უკიდურესად განსხვავებულ ხედვებსა და რადიკალიზმს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებაც უჭერდა მხარს, კონფლიქტი სისხლისღვრისაკენ მიჰყავდა. ცხინვალში კი ჯერ კიდევ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს იხსენებდნენ, როცა პრო-ბოლშევიკური ოსთა ეროვნული საბჭოს მოწყობილ აჯანყებათა ჩასახშობად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სახალხო გვარდია და ჯარის ნაწილები გაგზავნა ჯავაში. ქართული ნარატივით კი ოსები საქართველოში გვიან ჩამოსახლებული ხალხია, რომელსაც ავტონომია საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს საზიანოდ აჩუქა.

1989 წლის 26 მაისს მორიგი დაპირისპირება მოხდა ცხინვალში, როდესაც ქართველებმა ცხინვალში სცადეს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა. გაზეთი „დემოკრატი“ წერდა 1989 წ. 26 მაისს დაპირისპირებაზე ცხინვალში, როდესაც ქართველებმა ცხინვალში სცადეს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა: „ყოველივე ამან ოსი ხალხის ყოვლად გაუმართლებელი აგრესია გამოიწვია. მათ ჩამოხიეს დროშები, ჩაამსხვრიეს საცხოვრებელი სახლის მინები...“[10]

---

[9] საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიას სიტყვებით, „ჩვენ ვაღიარებთ ოსი ხალხის... უფლებას თვითგამორკვევისას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნისას, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს მათ ისტორიულ საბჭობლოში, დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში და არა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მათ მიტაცებული აქვთ და რომელიც წარმოადგენს სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს.“

[10] 1989 წლის ოქტომბრის ბოლოს გაზეთი „სამაჩაბლო“[10] წერდა, რომ ცხინვალის თეატრის ქართული დასის სეზონის გახსნა ჩაიშალა, რადგანაც თეატრის რედაქციამ ქართული დასი შენობაში არ შეუშვა, მათი უსაფრთხოების გარანტიების არარსებობით. (ინფორმაციები სამაჩაბლოდან 1989)

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ნარატივი ნაცვლად ოსებთან საერთო წარსულსა და აწმყოზე ხაზგასმისა, რაც „ადემონ ნიხასის“ ქსენოფობიურ და ეროვნებათაშორისი დაპირისპირების ქმედებებს დაუპირისპირდებოდა, კონფრონტაციასა და ოსებში უცხოს დანახვაზე იყო ორიენტირებული. თუმცა, ცხადია ცხინვალში მიმდინარე მოვლენები ერთგვარად არ ყოფილა აღქმული ერთი მხრივ, არც ცხინვალის ოლქის თუ დანარჩენი საქართველოს ეთნიკურად ოს მოსახლეობაში, მეორე მხრივ, არც - ქართველებში.

თბილისში განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა ცხინვალში მიტინგის მოწყობის საკითხი, რასაც ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილი ემხრობოდა, ნაწილი - არა. საბოლოოდ, 1989 წ. 23 ნოემბერს ცხინვალისაკენ დაიძრა რამდენიმე ათასი ქართველი ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ნაწილის წინამძღოლობით. მიტინგის ჩატარების საშუალება მათ მხოლოდ ქალაქის მიმდებარედ მიეცათ. ოსურმა მხარემ ნაბიჯი ქართველების მიერ ძალის დემონსტრირების მცდელობად აღიქვა. ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ნაწილი არ ემხრობოდა რადიკალი ნაციონალისტებისა და ქართველი კომუნისტების შეხმატკბილებულ ურთიერთობას ცხინვალში მიტინგის გამართვაზე, რასაც დაპირისპირების გაღრმავებამდე მიჰყავდა ქვეყანა.[11][12]

ემოციების დაწყნარებისაკენ მოუწოდებდნენ ოსებსაც და ქართველებსაც ცხინვალიდან, სადაც 1990 წ. 4 ოქტომბერს გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებიდან ქართულ-ოსური საინიციატივო ჯგუფი (კოზაევი, ცოტნიაშვილი, ცგოევა, ვახტანგაშვილი) მოუწოდებდა ოსებსა და ქართველებს დაწყნარებისა და ქართულ-ოსური ერთობლივი მუშაობისაკენ კონფლიქტის მოსაგვარებლად. თუმცა უკვე გვიანი იყო. 1991 წლის პირველი დღეებიდან ცხინვალში შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო.

---

[11] „მთავრობის როლი თავიდანვე ნათელი იყო: მიტინგი სანქცირებული იყო,, მთავრობა მას ფართო პროპაგანდას უწევდა და იგი დიდი რაოდენობით ტრანსპორტით უზრუნველყო. ამას ადასტურებს „ეროვნული თავდაცვის შტაბის“ სახელით (ზ. გამსახურდიას, ი. ბათიაშვილის, ი. წერეთლის და თ. სუმბათაშვილის მიერ) გაკეთებული განცხადება, ... რომ აქციას „ხელმძღვანელობას უწევდა ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან დაკომპლექტებული თავდაცვის შტაბი და რომლის ჩატარებასაც ხელი შეუწყო საქართველოს ე.წ. ხელისუფლებამ ზემოთაღნიშნული აქციის ტელევიზიითა და პრესით ფართო რეკლამირებითა და ტრანსპორტის დიდი რაოდენობით უზრუნველყოფით“ - წერდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, საქართველოს რესპუბლიკური პარტია და საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა - (ივერია 1989)

[12] აღსანიშნავია, რომ დღემდე ბოლომდე გაურკვეველ ვითარებაში ცხინვალში გასამართ მიტინგამდე რამდენიმე კვირით ადრე ავტოავარიაში დაიღუპა მერაბ კოსტავა, ქართული ეროვნული მოძრაობის ავტორიტეტული წევრი, რომელმაც მანამდე რამდენიმე თვით ადრე ხელი შეუშალა ცხინვალში მიტინგის გამართვას. მიტინგის კიდევ ერთი მგზნებარე მოწინააღმდეგე, ზურაბ ჭავჭავაძე კი წლის ბოლოს იმავე ავარიის შედეგად მიღებული გართულებების გამო გარდაიცვალა.

1991-1992 წლები - შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდი

1991 წლის იანვრის პირველ დღეებში ქართველი მილიციელების მოკვლას და 5-6 იანვრის ღამით ქართული მილიციის შესვლას ცხინვალში პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება მოჰყვა - შეიარაღებული კონფლიქტი 1992 წლის ივნისამდე გაგრძელდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მანამდე გვერდიგვერდ მცხოვრებ 65000 ოსსა და 26000 ქართველს შორის შერეული თანაცხოვრება დიდი ხნით დაირღვა. სხვადასხვა ცნობით, ომმა დაახლოებით ათასი ადამიანი შეიწირა, განადგურდა ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა, ათიათასი ქართველი გამოდევნილი იქნა საკუთარი სახლიდან; თავის მხრივ, როგორც ავტონომიური ოლქიდან, ასევე დანარჩენი საქართველოდან რამდენიმე ათასი ოსი იქცა ლტოლვილად.[13]

1991 წლის 7 იანვარს გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, სსრკ-მ ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში აღიარა და ისიც აღნიშნა, რომ ცხინვალის ავტონომიის სტატუსის ცვლილება იურიდიულ ძალას მხოლოდ სსრკ-ს ორგანოების დამტკიცების შემდეგ იღებდა. გორბაჩოვი თბილისს ავალებდა ოლქის ტერიტორიადან გამოეყვანა ყველა ტიპის შეიარაღებული ფორმირება სსრკ-ს შს ჯარების გარდა. თბილისში ეს ბრძნებულება საქართველოს საქმეებში ჩარევად და „ოსი ბანდიტების“ წახალისებად აღიქვეს. გორბაჩოვის ბრძანებულება შიმშილობითაც კი გააპროტესტეს თბილისსა და მოსკოვში.[14]

ნაცვლად მოსკოვის სტატუს კვოს შემანარჩუნებელი ბრძანების სათავისოდ გამოყენებისა, ჯერ კიდევ სსრკ შემადგენლობაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ კონფრონტაციის გზა აირჩია.[15][16] საქართველოს ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით კი, „სამხრეთ ოსეთის ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ“ გორბაჩოვის დადგენილება გაიზიარა და უკან წაიღო თავისი ყველა გადაწყვეტილება.

1991 წლის 20 თებერვალს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ცხინვალის ოლქში არსებული მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა შესახებ. აღსანიშნავია, რომ დადგენილებამ საქართველოს სსრ ტერიტორიული მთლიანობის

---

[13] International Crisis Group. 2004

[14] მოსკოვში შიმშილობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ეთნიკურად ქართველი, ოსი და ქურთი მოქალაქეები. (საქართველოს რესპუბლიკა 1991)

[15] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 9 იანვრის საპასუხო დადგენილებაში აქცენტი შეიძლება ითქვას არაარსებით მხარეზე გააკეთა და განაცხადა „საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და თავისი ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს ტერიტორიულ უზენაესობას“-ო.

სუვერენულ უფლებათა აღიარებით წინადადება მისცა საქართველოს მთავრობასა და უზენაეს საბჭოს დაეწყოთ მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან.[17][18]

28 თებერვალს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა 1991 წლის 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის გამართვა საქართველოში არ დაეშვა. უზენაესმა საბჭომ საპასუხოდ გადაწყვიტა 31 მარტს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე გაემართა რეფერენდუმი. რეფერენდუმს საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა და 9 აპრილს ზვიად გამსახურდიამ ქვეყნის დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ არც საქართველოს მთავრობასა და არც ოს სეპარატისტებს დისციპლინირებული შეიარაღებული ძალები არ ჰყოლიათ, ბრძოლები ხშირად ქაოტური და უწესრიგო იყო. ოსური მხარის ინფორმაციით, 1991 წლის 18 მარტს სოფელ ერედვში „ქართულმა ფორმირებებმა“ დმენისიდან ცხინვალში მიმავალი ტრანსპორტში მყოფი 25 ოსიდან 12 ოსი კაცი მოკლეს. ამ თარიღს ცხინვალში ყოველწლიურად აღნიშნავენ. 1992 წლის 20 მაისს, ცხინვალიდან ჯავაში მიმავალ ავტობუსს, რომელშიც ქალები და ბავშვები ისხდნენ ცეცხლი გაუხსნეს - მგზავრთაგან ყველა დაიღუპა. მომხდარში ოსებმა ქართველები დაადანაშაულეს.

1991 წ. 23 მარტს ყაზბეგში გამსახურდია და რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ელცინი შეხვდნენ ერთმანეთს. შედგა შეთანხმება ქართულ-რუსული მილიციის რაზმის შექმნაზე, რომელიც „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას განაიარაღებდა“.[19] მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ პერიოდში ცხინვალშიც, სადაც 1991 წ. 4 მაისს ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა 1990 წ. 20 სექტემბრის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნაზე უარყო, რაც შეგვიძლია ოსური მხარის კონფლიქტის მოგვარების მცდელობად განვიხილოთ.[20]

---

[17] საპასუხოდ, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ანატოლი ლუკიანოვს გაუგზავნა წერილი „უწინარეს ყოვლისა, პროტესტი უნდა განვაცხადოთ იმის გამო, რომ თქვენ კვლავინდებურად გვიწოდებთ „საქართველოს სსრ რესპუბლიკას“ და არა საქართველოს რესპუბლიკას“-ო.

[18] საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ პერიოდში ხშირად ღებულობდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც კონფლიქტის მოგვარებას ამწვავებდა და არა - პირიქით. მაგალითად, 27 თებერვალს უზენაესმა საბჭომ დაადგინა რამდენიმე დასახლებულ პუნქტს სახელი გადარქმეოდა, მათ შორის დაბა ზნაურს, რომელსაც მთავრობამ ყორნისი უწოდა.

[19] საინტერესოა, რომ ელცინი ცხინვალის ყოფილ ავტონომიურ ოლქად ფორმულირებას დასთანხმდა. თუმცა, ერთ კვირაში მან ხელი მოაწერა რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობის თხოვნას საქართველოს უზენაეს საბჭოსადმი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსისა და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სტრუქტურის აღდგენის შესახებ“.

[20]თუმცა თბილისში ოსურ გადაწყვეტილებას სამართლებრივი შეფასება მოჰყვა და არა - პოლიტიკური. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ოსურ სესიას უკანონო უწოდა და „იურიდიული ძალის არმქონე“, რითაც დიალოგისაკენ გადმოდგმული ოსური ნაბიჯის გამოყენების პოლიტიკური შანსი გაუშვა ხელიდან.

ოსურ დადგენილებებს სათავისოდ იყენებდა სსრკ უზენაესი საბჭო, რომელმაც 12 მაისს გორბაჩოვს, ასევე ეროვნებათა საბჭოზე მომუშავე სსრკ ორგანოებს მოუწოდა 4 მაისის ოსურ დადგენილება გამოეყენებინათ, რითაც, შეიძლება ითქვას, სსრკ ლიდერები იმედებს აძლევდნენ ოსებს, რომ ცხინვალის სტატუსი სხვაგვარად შეიძლებოდა აესახათ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში. [21]

პარალელურად, თბილისში უზენაესი საბჭოს დადგენილებების ტონი და შინაარსი ნაკლებადა შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფლიქტის მოგვარებისაკენ მიმართულ ნაბიჯებად. 1991 წ. 25 ივლისს უზენაესმა საბჭომ ცხინვალის რეგიონში მმართველობის დროებითი ორგანოების შექმნისა და სექტემბერში საკრებულოთა არჩევნების დანიშვნა გადაწყვიტა, რაც ნაკლებად ითვალისწინებდა ცხინვალში შექმნილ ვითარებასა და ოსთა მოლოდინებს.

მალე, საბჭოთა კავშირი 8 დეკემბერს დაიშალა, თბილისში კი წლის ბოლოსკენ სამხედრო გადატრიალება დაიწყო, რაც „სამხედრო საბჭოს“ მიერ ძალაუფლების ხელში აღებით დამთავრდა. ქვეყნის სათავეში გადატრიალებით მოსულმა ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა 1992 წლის 17 იანვრის განცხადებაში „ოდითგან ქართული მიწა-წყლის - შიდა ქართლის“ რუსეთთან შეერთებაზე ცხინვალის დაგეგმილი რეფერენდუმი გააპროტესტეს.[22]

1992 წლის 10 ივნისს ყაზბეგში საქართველოს სახ. საბჭოს თავმჯდომარე შევარდნაძე და ჩრდ. ოსეთიდან გალაზოვი შეხვდნენ ერთმანეთს და მორიგდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე. ამ დოკუმენტში პირველად მკვიდრდება „ქართულ-ოსური კონფლიქტი“. 24 ივნისს კი სოჭში ელცინსა და შევარდნაძეს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას “საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპის შესახებ”. 4 ივლისს ვლადიკავკაზში ხელი მოეწერა ოქმს „ქართულ ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ შეთანხმების შესასრულებლად“. შეიარაღებულ დაპირისპირებას რამდენიმეწლიანი პერიოდი მოჰყვა, როდესაც კონფლიქტში ჩართული მხარეები სიტუაციის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების გეგმებს განიხილავდნენ.

---

[21] სსრკ-ს ლიდერთაგან რამდენადმე განსხვავებით, 25 ოქტომბერს რსფსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც ჯერ კიდევ არაა ეჭვქვეშ დაყენებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რუსული მხარე აცხადებს, რომ კონფლიქტების მოგვარება საქართველოს კომპეტენცია იყო. 16 ოქტომბერს რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭო მიმართავდა სსრკ-ს, რსფსრ-ს და საქართველოს პრეზიდენტებს სამთავრობოთაშორისი კომისია შეექმნათ მიღწეული შეთანხმებების შესასრულებლად, რითაც კონფლიქტში ახალი ხედვა შემოვიდა, რაც გულისხმობდა, რომ ცალკე ვერცერთი მხარე მიაღწევდა საკუთარ მიზანს მოლაპარაკებების გარეშე.

[22] საინტერესოა, რომ თებერვალში, პირველი ქართული კონსტიტუციის მიღების 71 წლისთავზე, სამხედრო საბჭომ გაავრცელა განცხადება ამ კონსტიტუციის აღდგენაზე და ხაზი გაუსვა ორი ავტონომიის აფხაზეთისა და აჭარის არსებობას, ხოლო ცხინვალთან დაკავშირებით შეინარჩუნა გამსახურდიას პოლიტიკა.

1992-1999 წლები - კონფლიქტის მოწესრიგების მცდელობების ეტაპი

1992-1999 წლები შეიარაღებული კონფლიქტის ჩაცხრომისა და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისაკენ მეტნაკლებად აქტიურად გადადგმული ნაბიჯების პერიოდია. ამ პერიოდში რუსეთის პრეზიდენტი ელცინია, საქართველოს ლიდერი და 1995-დან პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა, ხოლო ცხინვალის დე-ფაქტო ლიდერი ჩიბიროვია. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობა არ გაურბის ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან შეხვედრებს. კონფლიქტის მოგვარების მცდელობებში ერთვება საერთაშორისო აქტორები, რომელთა მიმართაც მხარეებს ხშირად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ.

1993 წ. მარტში ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი საბჭომ მიიღო დადგენილება ეცნო „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“. 22 მარტს რუსეთის უმაღლესმა საბჭომ ჩრდ. ოსეთში მიღებული ამ დადგენილების უმაღლეს საბჭოზე განსახილველად გატანას დაუჭირა მხარი. ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა პოლიტიკურმა წრეებმა 1993 წლის მარტშივე დაუშვეს რუსეთის სუბიექტის მიერ საქართველოს ერთი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების განხილვა და ცხადად არ დაგმეს იგი.

1994 წლის მარტში საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრებასთან მიერთების შემდეგ, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ახალი დინამიკა იღებს სათავეს. შეინიშნება ძვრებიც ცხინვალის მიმართულებით.[23] 1994 წლის ივნისში ვლადიკავკაზში საქართველოში ევროთათბირის მისიის ინიციატივით გამართულ ქართულ-ოსურ შეხვედრაზე მიღებულ განცხადებაში პირველად აღინიშნა, რომ კონფლიქტის მოწესრიგებაზე უნდა დაწყებულიყო მოლაპარაკებები და რომ უნდა შექმნილიყო ახალი ორმხრივი ორგანო. 1994 წ. 31 ოქტომბერს მოსკოვში ევროთათბირის მონაწილეობით გაფორმდა შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესისა და შერეული საკონტროლო კომისიის განვითარების შესახებ.

- ### სტატუსის განსაზღვრისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის მცდელობები

1995 წ. 4 მაისს კონფლიქტის მოწესრიგების შეთანხმების პროექტის შავ ვარიანტში პირველად ჩნდება ტერმინი „ფედერაცია“ და სამხრეთ ოსეთის, როგორც ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუციაზე საუბარი. რეგიონის სტატუსი იყო 1995 წ. 30 ოქტომბრის ვლადიკავკაზში

[23] 1993 წლის სექტემბერში სოხუმის დაცემამ ერთგვარად ქართული მხარის ყურადღების აფხაზეთზე გადატანა გამოიწვია და ცხინვალი ჩრდილში მოექცა.

ეუთოს მონაწილეობით ოთხმხრივად (საქართველო, რუსეთი, სამხრეთ ოსეთი, ჩრდ. ოსეთი) ხელმოწერილი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ოქმის ერთ-ერთი თემაც.[24]

1996 წ. 17 აპრილს შეიქმნა კონფლიქტის მოწესრიგების მემორანდუმის პროექტი. 1996 წ. 16 მაისს კი მოსკოვში მოეწერა ხელი ქართულ-ოსური კონფლიქტის მემორანდუმს მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. საქართველოსა და „სამხრეთ ოსეთის“ მხარეებმა ხაზი გაუსვეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისaTvis მზადყოფნას, შეთანხმდნენ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე, სამხედრო დანაშაულის არჩამდენ პირებზე სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყებაზე, კონფლიქტის ზონის თანდათან დემილიტარიზაციაზე და სხვა. 13 ივნისს შეიქმნა კომუნიკე მემორანდუმის გადაწყვეტილებების შესრულებაზე. კომუნიკე მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობის ფედერაციულ სუბიექტადაა განხილული.[25]

1996 წ. 27 აგვისტოს ვლადიკავკაზში შევარდნაძესა და ჩიბიროვს შორის გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა დაადასტურეს ქართულ-ოსური ურთიერთობების გაღრმავების ტენდენცია. ამასთან, მალე, 10 ნოემბერს ჩიბიროვი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ პირველ პრეზიდენტად აირჩიეს.[26]

კონფლიქტის მოწესრიგების ამ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ეკონომიკური საკითხები. შედარებითი პოლიტიკური პროგრესი მხარის ეკონომიკურ აღდგენას არ დატყობია. 1997 წლის ბორჯომის შეხვედრა რეგიონის ეკონომიკურ აღდგენას მიეძღვნა. ეკონომიკური საკითხები იყო 1998 წლის ივნისის შევარდნაძე-ჩიბიროვის შეხვედრის მოლაპარაკებათა უმნიშვნელოვანესი თემაც.

მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში ეუთოს როლი. 1998 წ. 3 დეკემბერს ოსლოში ეუთოს მინისტრების შეხვედრაზე აღიარეს ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მიღწეული გარკვეული პროგრესი. თუმცა ეუთო ხედავდა პოლიტიკური მოლაპარაკებების მცდელობების გააქტიურების საჭიროებასაც. ეუთო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობის პრინციპიდან ამოდიოდა.

2000 წლის აპრილში საექსპერტო ჯგუფის შეხვედრა ვენაში გაიმართა, სადაც შუალედური დოკუმენტის შეუთანხმებელი პოზიციები უნდა განხილულიყო. საინტერესოა,

---

[24] სხვა სამუშაო საკითხები იყო უშიშროების ღონისძიებები, ნდობის აღდგენის საკითხები და ეკონომიკური აღდგენა. თემებზე მუშაობა საექსპერტო ჯგუფებს დაევალათ

[25] იმავე დღეს, ცხინვალმა მოითხოვა დევნილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ საცხოვრებლებში (როგორც ქართველთა, ისე ოსთა) დაბრუნება. ცხინვალი ქართულ მხარეს სთავაზობდა პრობლემის მეცნიერულ შესწავლას და ქართულ ტელევიზიაში „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ სამეცნიერო დისკუსიის გამართვას. ოსური მხარე დაინტერესებულნი იყო კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შეფასებაში.

[26] ცხადია, საქართველომ არჩევნები იურიდიული ძალის არმქონედ ცნო.

რომ ეუთომ შეხვედრის ადგილად ვენა აირჩია, რათა ერთგვარად დსთ-ის სივრცის გარეთ გატანილიყო მოლაპარაკებები.[27] 2000 წ. 13 ივლისს პარაფირებული იქნა ე.წ. ბადენის დოკუმენტი, რომელიც მიუხედავად შეუთანხმებელი საკითხებისა, კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გამართული მოლაპარაკებების ერთგვარ დაგვირგვინებადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

2001-2003 კოკოითი-პუტინი-შევარდნაძის პერიოდი

კონფლიქტის მოწესრიგების მოლაპარაკებებში პროგრესთან ერთად, ჩნდება დესტაბილიზაციისაკენ მიმართული ნაბიჯებიც. 2000 წ. 22 მაისს სოფ. ხეითში 5 ეთნიკურად ქართველი მოქალაქე მოკლეს, რაც ცხინვალში გამოცხადებულ „ხსოვნის დღეს“ დაემთხვა. ამასთან, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ჩიბიროვის ძმის მეთაურობით მოქმედმა ჯგუფმა სცადა ე.წ. ძონძების ბაზრობის ხელში ჩაგდება. დანაშაულთა საქართველოს პარლამენტის სპიკერ ზურაბ ჟვანიას მიერ გაკრიტიკებამ და მასში თანამონაწილეობაში ოსების დადადანაშაულებამ, ცხინვალი კიდევ უფრო შეაშფოთა.

ამასთან, 2000 წლის დეკემბერში გამწვავდა ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის. რუსეთმა არად ჩააგდო რა დსთ-ის ხელშეკრულება, საქართველოს მოქალაქეებს აფხაზეთის, აჭარისა და „სამხრეთ ოსეთის“ მცხოვრებთა გამოკლებით, სავიზო რეჟიმი დაუწესა.

2001 წლის 8 აპრილს ე.წ. „საერთო სახალხო რეფერენდუმის“ საფუძველზე ცხინვალში „სამხრეთ ოსეთის კონსტიტუცია“ მიიღეს, რომელმაც რეგიონი „სუვერენულ სახელმწიფოდ“ გამოაცხადა. „კონსტიტუცია“ „სამხრეთ ოსეთს“ აძლევდა უფლებას სხვა სახელმწიფოს შეერთებოდა, რაც თეორიულად ცხინვალს საფუძველს აძლევდა საქართველოს(აც) „შეერთებოდა“.

- ### ცხინვალისა და მოსკოვის პოლიტიკის ცვლილება

2001 წლის 6 დეკემბერს ცხინვალში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში დე-ფაქტო პრეზიდენტად ედუარდ კოკოითი აირჩიეს. მაშინ როდესაც შევარდნაძის მთავრობა პრო-დასავლურ კურსს გამოკვეთილად იღებდა, ცხინვალში კონფრონტაციული, ანტიქართული მიდგომებით გამორჩეული კოკოითი აირჩიეს.[28]

---

[27] შეუთანხმებელი საკითხები იყო ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის საკითხი, კონსტიტუციის სფეროები და სახელმწიფო შტოები, სიმბოლოები, საერთაშორისო გარანტიების საკითხი, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა საკითხები და შუალედური დოკუმენტის დასახელება.

[28] (Новая газета 2009) - „ნოვაია გაზეტა“ დიმიტრი სანაკოევზე დაყრდნობით წერდა, რომ არჩევიდან ერთ თვეში, 9 იანვარს, კოკოითმა სამხრეთ ოსების 50 კაციან ელიტას მოუყარა თავი, სადაც მათ გააცნო გეგმა საქართველოსთან ომის გეგმის შესახებ, რასაც უნდა მოჰყოლოდა რეგიონის დამოუკიდებლობა. „ნებისიერი საომარი მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე -

ამასთან, რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებათა მთელი სერია, მათ შორის, ე.წ. პასპორტიზაციის პროცესი და შექმნა ნიადაგი მომავალი სამხედრო ინტერვენციისათვის.[29] 2002 წ. აგვისტოში რუსეთმა პანკისის ხეობა დაბომბა, რასაც სამოქალაქო მოსახლეობის დაღუპვა მოჰყვა.[30] 7-8 სექტემბერს კი კოკოითიმ თვით-აღიარებულ აფხაზეთთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო შეთანხმებას. 22 ნოემბერს კი შევარდნაძემ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს პირველად სთხოვა საქართველოს გაწევრიანება.

მალევე, 2003 წ. 15 იანვარს კოკოითიმ პუტინს მიმართა რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის.[31] რუსეთს მაშინ ცხინვალის დამოუკიდებლობა არ უცვნია, თუმცა სეპარატისტულ რეგიონს სამხედრო შეიარაღება, მათ შორის, ტანკებიც გადასცა,. 30 ივნისს მოსკოვში პუტინთან შეხვედრიდან დაბრუნებულმა კოკოითიმ ძალოვანი უწყებების მეთაურები გაათავისუფლათა თანამდებობებიდან.[32] ივლისში კი ცხინვალმა ბადენის დოკუმენტიდან გაიწვია ხელმოწერა.

მნიშვნელოვანი იყო 2003 წლის შემოდგომა. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა ოქტომბერში სამხედრო მუქარაც კი შემოუთვალა საქართველოს „საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად“. ნოემბერში კი თბილისში შევარდნაძემ ძალაუფლება დაკარგა და ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ ლიდერები მოვიდნენ.

2003-2008 - გზად ომისკენ: პუტინი-კოკოითი-სააკაშვილის პერიოდი

„ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება ახალი ენერგიით ცდილობდა კონფლიქტების მოგვარებას. გააქტიურდა მოსკოვიც, სადაც საქართველოსთან მიმართებით ახალი სტრეტეგია აამუშავეს. 2003 წ. 29 ნოემბერს, რევოლუციიდან რამდენიმე დღეში,

---

სამხრეთ ოსეთი იქნება ეს თუ აფხაზეთი, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს აღსასრულს მოაახლოვებს“ - განაცხადა კოკოითმა, რომელიც შეშფოთებული იყო ამერიკელი სამხედროების მიერ ქართული ჯარის წვრთნით.

[29] 2002 წლის ზაფხულზე დაწყებულმა ამ პროცესმა შედეგი სწრაფად გამოიღო - 2003 წლის აპრილისათვის ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის 56%-ს რუსული პასპორტები ჰქონდა აღებული.

[30] რუსეთი უარყოფდა ფაქტს, რაც მოგვიანებით ეუთოს გამოძიებამაც დაადასტურა. ამასთან, პუტინი ტერორისტების ბუდედ აცხადებდა საქართველოს და სამხედრო დარტყმებით იმუქრებოდა.

[31] მეტიც, 2003 წლის მარტში კოკოითმა წინამორბედის პოლიტიკა გააკრიტიკა: შევარდნაძესთან შეხვედრა არამართლზომიერია, რადგანაც სწორედ შევარდნაძე იყო დამნაშავე „ოსი ხალხის გენოციდშიო“. კოკოითის აზრით, ჩიბიროვი ხვდებოდა რა შევარდნაძეს, ღალატობდა ოსი ხალხის ინტერესებს.

[32] იმავე დღეს, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა “სანამ პრეზიდენტი ვარ აფხაზების და ოსების წინააღმდეგ იარაღს არ გამოვიყენებ, თავის დროზე ეს ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რაც დამოუკიდებელმა საქართველომ ჩაიდინა”-ო (სამოქალაქო საქართველო (Civil.ge) 2003)

მოსკოვში გადაწყვიტეს ცხინვალში, აფხაზეთსა და აჭარაში პასრპორტიზაციის პროცესის დაჩქარება; ამასთან, მოსკოვმა გადაწყვიტა აჭარისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივებაც.

2004 წლის 4 იანვარს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი ჩადის ცხინვალში, რასაც დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი კოკოითი უარყოფითად გამოეხმაურა. თებერვალში სააკაშვილი, ახლა უკვე პრეზიდენტის რანგში, პუტინს შეხვდა და განაცხადა, რომ შევარდნაძისგან განსხვავებით პუტინთან „საერთო ენის გამონახვა“ შეძლო.

მოსკოვმა კიდევ უფრო გააძლიერა საკუთარი გავლენა ცხინვალზე. დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ბარანკევიჩი გახდა. რუსეთმა რეგიონის მილიტარიზაციაც დაიწყო - 2-6 ივნისს ცხინვალს რუსეთმა სამხედრო შეიარაღება, მათ შორის 70 ტანკი გადასცა. 7 ივნისს კი შეარაღებაგადაცემული ცხინვალის პარლამენტმა მოსკოვს დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართა.

- ## ცხინვალში აჭარული სცენარის განვითარების თბილისური იმედები

2004 წლის 6 მაისს რევოლუცია აჭარასაც მისწვდა - ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე მოსკოვში გაფრინდა. რუსეთმა მართალია აჭარა დაუთმო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, თუმცა დაიმუქრა, რომ მსგავსი სცენარი ცხინვალსა და სოხუმში არ გამოვიდოდა. თბილისი მაინც იმედოვნებდა, რომ ცხინვალში სცენარი აჭარის მაისის მოვლენების მსგავსად წარიმართებოდა.[33] თუმცა, სიტუაცია ცხინვალსა და ბათუმში რადიკალურად გასხვავდებოდა ერთმანეთისაგან. განსხვავებით ეთნიკური ქართველებით დასახლებული ბათუმისაგან, ცხინვალში მართალია კოკოითის დე-ფაქტო ხელისუფლებისადმი უკმაყოფილო, თუმცა მაინც საქართველოსადმი არცთუ დადებითად განწყობილი ოსები სახლობდნენ. ამასთან, ოსური ისტორიული ნარატივები და წარსულის გააზრება პრინციპულად განსხვავდებოდა აჭარის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განწყობებისაგან.

2004 წ. 11 ივნისს თბილისმა ერგნეთის ბაზრობა - კონფლიქტის ორივე მხარეს მცხოვრებთათვის ინტენსიური კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანელი ადგილი - დახურა.[34] ერთი მხრივ, კოკოითის დე-ფაქტო ხელისუფლებისათვის კონტრაბანდასა და ვაჭრობაზე წვდომის შეზღუდვით, მეორე მხრივ კი „ჰუმანიტარული დახმარების“

---

[33] "სამხრეთ ოსეთში ვითარება აჭარის მსგავსად წარიმართება, ამას თავად ხალხი უმოკლესს პერიოდში გააკეთებს“ - აცხადებდა სააკაშვილი.

[34] ხელისუფლება აცხადებდა, რომ ბაზრობა 120 მილიონი აშშ დოლარის ზარალს აყენებდა საქართველოს.

ცხინვალისათვის მიწოდებით საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, რეგიონის მოსახლეობა კოკოითის წინააღმდეგ განეწყო, თუმცა ამან საპირისპირო შედეგი გამოიღო.[35]

- ## 2004 წლის ივლისი-აგვისტოს ესკალაცია

მალევე, ივლისში საქართველოს შინაგანმა ჯარმა ოსურ და რუსულ მხარეებთან შეუთანხმებლად ქართული სამშვიდობო კონტინგენტი გაზარდა და რუსეთის სამშვიდობოების იარაღით დატვირთული კოლონა დააკავა, რის საპასუხოდაც დე-ფაქტო ცხინვალის მთავრობამ ქართული სოფლების დაიკავა. ცხინვალის მიერ 50 ქართველი სამხედროს დაკავების მიუხედავად, სააკაშვილმა პირობა დადო რეგიონზე კონტროლი აღედგინა.

ივლის-აგვისტოში კონფლიქტის ზონაში ესკალაციამ პიკს მიაღწია. როგორც ოსურ, ისე ქართულ მხარეს იყო მსხვერპლი, მათ შორის, სამოქალაქო პირებისა. ამასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველო დაადანაშაულა პროვოკაციის ორგანიზებაში და განაცხადა, რომ ცხინვალში თავის მოქალაქეებს დაიცავდა. ამის მიუხედავად, 2004 წლის ივლის-აგვისტოს მოვლენებამდე და მათი მიმდინარეობისას, ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება სრულად ვერ იაზრებდა რუსეთის ფაქტორს კონფლიქტში[36].

5 ნოემბერს სოჭში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და დე-ფაქტო ცხინვალის პრეზიდენტ კოკოითის შეხვედრაზე მხარეები რეგიონის დემილიტარიზაციაზე შეთანხმდნენ. სოჭის შეხვედრამ ფაქტობრივად განმუხტა ზაფხულის დაძაბულობა. ყოფით დონეზე მეტნაკლებად წარმატებულად ტრანსფორმირებული კონფლიქტი, რაც გამოიხატებოდა რეგიონში მშვიდობიანი გადაადგილებით, ოსებსა და ქართველებს შორის ვაჭრობითა და სხვა დადებითი ტენდენციებით, დიდად დაზარალდა 2004 წ. ზაფხულის ესკალაციით.

- ## კონფლიქტის მოგვარების ქართული გეგმები და შეთავაზებები

სექტემბერში, გაეროში, 59-ე გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილის გამოსვლა აირეკლავდა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონფლიქტის გადაფასებულ ხედვას - სააკაშვილმა განაცხადა, რომ საჭირო იყო რეგიონის დემილიტარიზაცია, ეკონომიკური რეაბილიტაცია, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარება და ნდობის აღდგენა. 2005 წ. 25 იანვარს

---

[35] (International Crisis Group 2004)

[36] საქართველოს უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი 2004 წლის 8 ივლისს კოკოითის „კრიმინალურ რეჟიმზე“ საუბრისას აცხადებდა, რომ „დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ კოკოითის რეჟიმი არ სარგებლობს მოსკოვის მხარდაჭერით“.[36]

საკაშვილმა სტრასბურგში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპები და სამშვიდობო გეგმა წარმოადგინა. [37]

2005 წლის დეკემბერში ეუთოს ლუბლიანას მინისტერიალზე თბილისმა კიდევ უფრო დეტალური სამშვიდობო გეგმა გააჟღერა კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. სამოქმედო გეგმაში იკვეთებოდა მოქმედებათა სამი ეტაპი: - კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია; - სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია; - "სამხრეთ ოსეთის" საბოლოო სტატუსის განსაზღვრა. შსკ კვლავაც კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთ მექანიზმად რჩებოდა, თუმცა საქართველო, იმ საბაბით, რომ უმცირესობაში იყო, ფორმატის ცვლილებას და მასში დასავლელი აქტორების შემოყვანას ცდილობდა, ცხინვალი კი ფორმატის უცვლელობას უჭერდა მხარს და მისი ფუნქციების გაფართოებას.

- ## რუსეთის ჩართულობა და ნაბიჯები

2006 წ. 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანა მოითხოვა. დადგენილება 1992 წ. 24 ივნისის სოჭის შეთანხმების ფუნდამენტურ რევიზიას გულისხმობდა და რუსული სამშვიდობოების საერთაშორისო სამშვიდობოებით ჩანაცვლებას ითხოვდა. ამასთან, 31 მარტს საქართველომ და რუსეთმა ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსული ბაზების გაყვანის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

სამშვიდობო გეგმების ინიციატივებს ქართული მხარის მიერ, თან სდევდა ერთგვარი გამაფრთხილებელი ნაბიჯები რუსეთის მხრიდან. 2006 წლის 25 იანვარს ჩრდილო ოსეთში მომხდარმა ენერგეტიკულმა დივერსიებმა საქართველო ენერგეტიკულ კრიზისში ჩააგდო. 2005 წელს რუსეთმა არაერთი საკადრო ცვლილება განახორციელა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ძალოვან უწყებებში. ცხინვალის კგბ-ს რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების (ე.წ. „ეფ-ეს-ბეს“) კადრი ანატოლი იაროვოი ჩაუდგა სათავეში. რუსული არმიის გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი კი დე-ფაქტო აფხაზეთის სამხედრო უწყების მაღალჩინოსანი გახდა. რუსულმა შსს-მ ცხინვალში შსს მინისტრად გადმოისროლა თავისი მათალჩინოსანი მიხაილ მინძაევი. [38] რუსეთის დუმამ 7 ივლისს ქვეყნის ფარგლებს გარეთ

---

[37] კონცეფცია ითვალისწინებდა ცხინვალს წარმომადგენლობა ჰყოლოდა საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოში, ასევე, იგი საუბრობდა ოსური ენის პროგრამების დაფინანსებასა და ოსური საჯარისო ფორმირებების ქართულ არმიაში ინტეგრაციაზეც კი.

[38] ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ჟურნალისტმა დიმიტრი მედვედევს ჰკითხა "რას იტყვით ბატონი პუტინის განცხადებებზე იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს არსებობდა გეგმა და ამ გეგმის ფარგლებში ამზადებდნენ მეამბოხეებს სამხრეთ ოსეთში?" მედვედევმა განაცხადა, რომ "რა თქმა უნდა, შეიძლება, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენ ვცდილობდით, ამ ორ ხალხს [აფხაზებს და ოსებს] დავხმარებოდით, რომლებიც ჩვენ შესაბამისი თხოვნებით მოგვმართავდნენ." ფაქტობრივად, მედვედევმა დაადასტურა, რომ 2006 წლიდან გარკვეული მზადყოფნა იყო ომისათვის.

შინაგანი ძალებისა და სპეც.დანიშნულების ქვედანაყოფების გამოყენების ლეგიტიმაციაზე მიიღო დადგენილება.

თუ თბილისი ცხინვალისა და სოხუმისათვის „ფართო ავტონომიაზე“ საუბრობდა, მოსკოვი თვითაღიარებული რეგიონების ლიდერებს ოფიციალურად მასპინძლობდა და აიმედებდა. 2005 წლის 3-4 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა თვითაღიარებული აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერებთან ერთად კოკოითსაც უმასპინძლა. მომდევნო დღეს პუტინმა სოჭის რეზიდენციაში უმასპინძლა კოკოითსა და ბაღაფშს.

2008 წლის 21 მარტს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ კოსოვოს აღიარების მაგალითზე კრემლს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას ურჩია.[39] რეზოლუციაში ეწერა, რომ „კოსოვოს აღიარების პროცესი ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს... [აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს], რომელთაც თავიანთი დე ფაქტო დამოუკიდებლობის წლების მანძილზე ააშენეს დემოკრატიული სახელმწიფოების მართვის ყველა საჭირო ატრიბუტით, კოსოვოზე ბევრად უფრო მეტი საფუძველი აქვთ, რომ ისწრაფვოდნენ საერთაშორისო აღიარებისკენ”. მალევე, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა 2008 წლის 16 აპრილის განკარგულებით მთავრობას დაავალა ოფიციალური ურთიერთობები დაემყარებინა თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შესაბამის ორგანოებთან.

- ## შიდაოსური დაპირისპირების ქართული სცენარი

თბილისის მორიგი მიშვნელოვანი მცდელობა შიდაოსური დაპირისპირების მცდელობის შექმნა იყო. 2006 წლის 12 ნოემბერს ცხინვალში ორი არჩევნები და რეფერენდუმი გაიმართა. სეპარატისტული ხელისუფლების ორგანიზებულ არჩევნებში ედუარდ კოკოითი "პრეზიდენტად“ აირჩიეს, ხოლო რეფერენდუმზე რეგიონის დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი. თბილისის მიერ მხარდაჭერილ "ალტერნატიულ არჩევნებში“ კი, დიმიტრი სანაკოევი აირჩიეს, ხოლო რეფერენდუმზე მოსახლეობამ თბილისთან მოლაპარაკებების დაწყება და საქართველოსთან ერთიანი ფედერალური სახელმწიფოს შექმნა აირჩია. მოსკოვმა განაცხადა, რომ სწორედ თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთში "ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვით“ ჩატარებული არჩევნები და რეფერენდუმი იყო ერთადერთი სამართლიანი არჩევნები.

---

[39] 2007 წ. 21 იანვარს ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კოსოვოს პრობლემა უნივერსალური ხასიათისაა და შეიძლება გახდეს დსთ–ში კონფლიქტების მოგვარების წინაპირობა. "პატარა სახელმწიფოები თავს დაუცველად გრძნობენ. ბუნებრივია, თუ კოსოვოში პრობლემას გარკვეული გზით მოვაგვარებთ, ეს მიდგომა უნივერსალური უნდა გახდეს ანალოგიური სიტუაციებისთვის.“

2007 წლის 13 აპრილს თბილისმა მიიღო კანონი ყოფილ სამხრეთ ოსეთში დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ, რომლითაც მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმოების მანდატი ეძლეოდა დროებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას. ამ კანონის მიღებით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე აღდგა ახალი ადმინისტრაცია, რომელიც ქართული მხარის ინტერესებს წარმოადგენდა.

"არსებობს თუ არა საერთოდ ოსური და ქართული მხარეები? - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას, „არ არსებობს ქართულ-ოსური კონფლიქტი და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არის იმპერიული იდეოლოგების და ტექნოლოგების ერთ-ერთი მორიგი მონაჩმახი". [40]

- ## სამშვიდობო პროცესის ხელახალი გაუარესება - გზა ომამდე

2005 წ. 20 სექტემბერს, როცა ცხინვალში ე.წ. დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდნენ, ცხინვალის მიმართულებით დაუდგენელი პოზიციიდან საარტილერიო ცეცხლი გაიხსნა, რამაც შვიდი სამოქალაქო პირი იმსხვერპლა. ქართულმა მხარემ ამ აქტში მონაწილეობა უარყო. ცხინვალმა კი შსკ-ში მუშაობის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.[41]

საინტერესოა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს თან მოჰყვებოდა ხოლმე ვითარების გამამწვავებელი ქმედებები. 2006 წ. 14 ივნისის ბრიუსელის დონორთა კონფერენციას, სადაც გაირკვა რომ საერთაშორისო პარტნიორებმა კონფლიქტის ზონაში ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად 12 მილიონი გამოყვეს, რასაც ოსები და ქართველები უნდა დაეხლოვებინა, მალევე მოჰყვა არაერთი ტერაქტი ცხინვალში, კერძოდ 9 ივლისს დე-ფაქტო ცხინვალის უშიშროების მდივან ალბოროვის დაღუპვა, ხოლო 14 ივლისს მოხდა ტერაქტი დე-ფაქტო ცხინვალის ერთ-ერთი შეიარაღებული ქვედანაყოფის ხელმძღვანელ ბესტაევზე.

2008 წლის 3 ივლისს ნაღმზე აფეთქდა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსის დიმიტრი სანაკოევის ავტომანქანა, რის შემდეგაც მის კორტეჟს ავტომატური

---

[40] შიდაოსური დაპირისპირების სცენარში ჯდებოდა 2007 წლის ივლისის კამპანია - "კოკოითი ფანდარასტ". დროებითი ადმინისტრაციის სპიკერმა ვლადიმერ სანაკოევმა განაცხადა, საზოგადოებრივი კამპანიის შესახებ, რომლიც მიზანი ედუარდ კოკოითის გადაყენება იყო. კამპანია სახელწოდებით - "კოკოითი ფანდარასტ" მოძრაობა "სამხრეთ ოსეთის ხალხი მშვიდობისათვის" წარმართავდა.

[41] ინციდენტი კონფლიქტურ რეგიონში, ქართულ სოფლებში თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის ვიზიტს დაემთხვა, რა დროსაც ლიახვის ხეობის გზები გადაიკეტა. გზების გადაკეტვით უკმაყოფილო ოსურ და რუსულ მხარეებს ოქრუაშვილმა განუცხადა „ ჩვენ ამაყი ერი ვართ და ეს არის ჩვენი ტერიტორია და გვინდა გზას გადავკეტავთ და გვინდა საზღვარს ჩავკეტავთ"-ო.

იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. საქართველოს შსს-მ ოსი სეპარატისტები დაადანაშაულა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი საპასუხოდ განაცხადა, რომ დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე მომხდარი თავდასხმა" ინსცენირება" იყო. შემთხვევის ადგილზე ქართველმა სამართალდამცველებმა არ დაუშვეს დამკვირვებლები სამშვიდობო ძალებიდან და ეუთოდან. რუსეთის საგარეო უწყებამ ასევე განაცხადა, რომ მანქანის აფეთქება "მაშინვე გამოიყენა თბილისმა ახალი უკანონო პოსტების გასახსნელად ინციდენტის რაიონში".

4 ივლისის ღამით კონფლიქტის ზონაში მომხდარი სროლების შედეგად, რომლის წამოწყებაშიც თბილისი და ცხინვალი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ, ორი ადამიანი დაიღუპა. 26 ივლისს რუსეთმა დაამთავრა სამხედრო ბაზების მშენებლობა ცხინვალსა და ჯავაში. 2008 წლის 1-2 აგვისტოს კი მსხვილკალიბრიანი არტილერიით დაიბომბა ცხინვალის მიმდებარე ქართული სოფლები, რაც რუსულმა სამშვიდობო ძალებმაც დაადასტურეს. შეიძლება ითქვას, ივლისის დასაწყისიდან აღარ შემწყდარა სროლა და ცეცხლი. 6 აგვისტოს ცხინვალიდან ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს. საქართველოს ხელისუფლებამ სეპარატისტებს პირდაპირი მოლაპარაკებები შესთავაზა, თუმცა ამაოდ, საქართველო-რუსეთის სრულმასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებამდე რამდენიმე საათიღა იყო დარჩენილი.

დასკვნის მაგიერ

ნაშრომში გამოყოფილია 1988-2008 წლებში ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ავტონომიური ოლქში წარმოშობილი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის პერიოდები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა. 1988-91 წლები კონფლიქტის მომწიფების პერიოდია, როდესაც ეროვნებათა შორის დაპირისპირების გამჩაღებელი დისკურსები მარგინალურიდან მეინსტრიმულ ნარატივებად მალევე გადაიქცა. განსხვავებული ხედვები თბილისსა და ცხინვალში ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის მმართველობის პირობებში გადაიზარდა დადგენილებების ომში, რამაც გაზარდა უნდობლობა ეთნიკურ ქართველებსა და ოსებს შორის. ერთმანეთთან წარმატებულად ინტეგრირებულ ქართულ და ოსურ თემებს არამხოლოდ გაზიარებული სოფლები აერთიანებდათ, არამედ ხშირი იყო შერეული ქორწინებები და ოჯახებიც. ამისდა მიუხედავად, როგორც კომუნისტების, ისე ნაციონალისტების ხშირად გამიზნულმა თუ ზოგჯერ ემოციურად ვერგათვლილმა ნაბიჯებმა ცხინვალსა და თბილისში, რაც ხშირად ორკესტრირებული იყო კრემლის მიერ, 1991-92 წლებში წელიწადნახევრიან ომში გადაიზარდა. ამ ქაოსური ომის პერიოდში იურიდიულად გაფორმდა საბჭოთა კავშირის დაშლა და თბილისში კი გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ სახელმწიფო

გადატრიალებამ სათავეში ჯერ სამხედროები, შემდეგ კი სსრკ-ს მინისტრადყოფილი ედუარდ შევარდნაძე მოიყვანა.

1992 წლის ზაფხულს შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებიდან 1999 წლამდე პერიოდში მეტნაკლებად წარმატებული დიალოგი მიმდინარეობდა კონფლიქტის ტრანსფორმაციისათვის. შევარდნაძე და დე-ფაქტო ოსი ლიდერი ჩიბიროვი პირისპირაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, კონფლიქტში ჩაერთვნენ დასავლელი პარტნიორებიც, მაგ. ეუთო და სხვ. ამ პერიოდში მოინათლა კონფლიქტი „ქართულ-ოსურ კონფლიქტად“. სიტუაცია შეიცვალა, როცა შევარდნაძის მიერ პრო-დასავლური ნაბიჯების გადადგმასთან ერთად რუსეთში ვლადიმერ პუტინმა აიღო ხელთ სადავეები და დე-ფაქტო ცხინვალის საპრეზიდენტო არჩევნებში ანტი-ქართული რიტორიკით გამორჩეულმა კოკოითიმ გაიმარჯვა. პუტინის მიერ აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა და აჭარის მცხოვრებთათვის რუსული მოქალაქეობის დარიგებამ კი კიდევ უფრო გაზარდა უნდობლობა თბილისსა და მოსკოვს შორის, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ რუსეთმა სამხედრო გავლენა გააძლიერა ცხინვალზე - ეს ზომები საქართველოს არაერთი დაბომბვისა და ქართველი მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების დაწესების ფონზე ხდებოდა.

2003 წლის ბოლოდან თბილისში „ვარდების რევოლუციით“ ხელისუფლებაში მოსულმა სააკაშვილმა საქართველოს ერთიანობის აღდგენა ცხოვრებისეულ მიზნად გამოაცხადა და მკვეთრი ნაბიჯები გადადგა ცხინვალში, მაგალითად დახურა ერგნეთის ბაზრობა და აქტიურად ცდილობდა აჭარის რევოლუციის მსგავსი სცენარის გამეორებას რეგიონში და სხვა. 2004 წლის ზაფხულის სამხედრო ესკალაციამ რეგიონში მსხვერპლი მოიტანა, ნდობა კი ქართველებსა და ოსებს შორის კიდევ უფრო შეარყია. საომრად ემზადებოდა რუსეთი - რომელმაც საქართველოს რეგიონებში პასპორტიზაციით, საქართველოს ტერიტორიაზე სახედრო ბაზების აშენებითა თუ საზღვარგარეთ საკუთარი სპეცდანიშნულებისა თუ შინაგანი ძალების გამოყენების ლეგიტიმაციაზე მიღებული გადაწყვეტილებებით მიანიშნებდა მომავალ სამხედრო ინტერვენციაზე საქართველოში. საქართველოს ხელისუფლების მცდელობას, შეექმნა ახალი ადმინისტრაცია ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, წარმატება არ ხვდა წილად - ოსების დაყოფის ქართულმა სცენარმა, ისევე როგორც აჭარის რევოლუციის ექსპორტმა ცხინვალში არ გაამართლა და მიუხედავად თვითაღიარებულ ცხინვალში კოკოითის არაპოპულარულობისა, სეპარატისტულ განწყობილ ოსთა მიერ მისი ძალაუფლების გადაგდების მოძრაობაში არ გადაზრდილა. მართალია სრულმასშტაბიანი ომი 2008 წლის 7-8 აგვისტოს დაიწყო, თუმცა ომისათვის მზადება გაცილებით ადრე იღებს სათავეს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1980-იანი წლების ბოლოს დაწყებული დაწყებული კონფლიქტის განვითარება არაერთი ფაქტორის კომპლექსური კომბინაციამ განაპირობა. ერთგვარი „უსაფრთხოების დილემა“ და ანარქია, რომელიც იმპერიების დაშლას თან სდევდა, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ეთნოსთშორისი დაპირისპირებების გასაღვივებლად.

ნაციონალისტური მოძრაობების ემოციური ისტორიული არგუმენტების ჭიდილი, თუ ვინ უფრო ადრე მოვიდა და დასახლდა ამ მიწაზე, მტრულ ურთიერთშორის ატმოსფეროს ქმნიდა. თბილისსა და ცხინვალში კომუნისტური ხელისუფლების ორგანოებს შორის გაჩაღებულმა დადგენილებათა ომმა, რაც შემდეგ თბილისში სათავეში მოსულმა ნაციონალისტურმა ძალებმაც გააგრძელეს, ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა რეგიონში არეულობას და სამხედრო დაპირისპირებას, განსაკუთრებით საბჭოთა/რუსეთის ჩარევის ფონზე. პოლიტიკურმა ელიტებმა, ძალაუფლების მქონეებმა თუ ამ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნეებმა როგორც ცხინვალში, ასევე თბილისში, მნიშვნელოვნად გამოიყენეს ეთნოპოლიტიკური დაპირისპირების თემა.

პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი (1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ მასალებზე დაყრდნობით შექმნილი ეს ნაშრომი ცხადია ხარვეზებისაგან დაზღვეული არ არის, რასაც მასალის სიმრავლე და დროის სიმცირეც განაპირობებდა. წინამდებარე ნამუშევარი ცხადია, არასრულყოფილია და მცირე ნაშრომი შეუძლებელიც კია სრულყოფილად ასახავდეს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის სიღრმეებს. ამასთან, პროექტის ძალზე მდიდარი საარქივო ინფორმაციაც კი მცირე ნაწილია ამ კონფლიქტის მრავალწახნაგოვანი კონფლიქტის სრულად გასააზრებლად. სრულყოფილი სურათის შესაქმნელად საჭირო იქნებოდა ბევრად უფრო მეტი ოსური და რუსული წყაროების გაანალიზებაც, მათ შორის, იმდროინდელი პრესის მიმოხილვაც.

თუმცა წინამდებარე ნაშრომიც, ისევე როგორც, დროითი წრფივი, რომელზეც ასობით დოკუმენტია თავმოყრილი, იმედი უნდა ვიქონიოთ, კონფლიქტისა და მშვიდობის თემებით დაინტერესებულ არაერთ მკვლევარს მოიზიდავს, შთააგონებს მათ და გაუადვილებს კონფლიქტზე მუშაობას. ამასთან, ხელს შეუწყობს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების გარშემო დისკუსიას და წარსულის უკეთ შემეცნებას, უკეთესი აწმყოსა და მომავლის შესაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

Новая газета. 2009. "Как готовилась война." *Новая газета*, 06 24.

ივერია. 1989. "განცხადება 23-24 ნოემბერს შიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის გამო." *ივერია*, დეკემბერი 20: 1.

სამაჩაბლო. 1989. "ინფორმაციები სამაჩაბლოდან." *სამაჩაბლო*, ოქტომბერი: 2.

სამოქალაქო საქართველო (Civil.ge). 2003. *შევარდნაძე აფხაზეთისა და ოსეთის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას არ აპირებს.* სამოქალაქო საქართველო (Civil.ge). 07 01. Accessed ივნისი 15, 2019. https://civil.ge/ka/archives/129423.

საქართველოს რესპუბლიკა. 1991. "შიმშილობა მოსკოვში." *საქართველოს რესპუბლიკა*, იანვარი 18: 1.

Brubaker, Rogers. 1996. *Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe.* Cambridge University Press.

Brubaker, Rogers. 1994. "Rethinking nationalism: National as institutionalized form, practical category, contingent event." *Contention* 4 (1): 3-14.

Evera, Stephen Vane. 1994. "Hypotheses on War and Nationalism." *International Security* (The MIT Press) 18 (4): 5-39.

Gurr, Ted Robert. 2017. "Observations on the Study of Ethnic Conflict." *Ethnopolitics* 16 (1): 34-40.

International Crisis Group. 2004. "Georgia: Avoiding War in South ossetia." Tbilisi/Brussels.

Sordia, Giorgi. 2009. *Ossetians in Georgia - In the Wake of the 2008 War.* European Centre for Minority Issues (ECMI). https://www.files.ethz.ch/isn/106675/working_paper_45_en.pdf.